თავი 9 საკონსულტაციო პროცესი

სარჩევი

9 კონსულტაციის პროცესი 9-1
9.1 შესავალი 9-1
9.2 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პროექტის წინა და მიმდინარე ეტაპებზე 9-1
9.3 დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრა 9-2
9.3.1 ცენტრალური სახელისუფლებო უწყებები 9-2
9.3.2 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები 9-3
9.4 კონსულტაციები ESIA-ის დამატების თავდაპირველი ვარიანტის სამუშაოთა მოცულობის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, ნოემბერი 2013 9-3
9.4.1 შესავალი 9-3
9.4.2 ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები 9-3
9.4.3 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები 9-4
9.5 2013 წლის ნოემბერში ჩატარებული კონსულტაციებიის შედეგები 9-8
9.5.1 ცენტრალური სახელისუფლებო უწყებები 9-8
9.5.2 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასახლებები 9-8
9.6 2014 წლის აპრილში ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველ ვარიანტთან დაკავშირებული კონსულტაციები 9-13
9.6.1 ინფორმაციის გავრცელება 9-13
9.6.2 ცენტრალური სახელისუფლებო უწყებები 9-14
9.6.3 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასახლებები 9-14
9.6.4 განცხადებები საჯარო განხილვის შესახებ 9-15
9.6.5 გამოხმაურების მექნიზმები 9-16
9.6.6 კონსულტაციები საჯარო განხილვის პერიოდში – საჯარო შეხვედრები 9-16
9.6.7 კონსულტაციის შედეგების მონიტორინგი 9-17
9.7 კონსულტაციები ESIA-ს დამატების შეცვლილი ვარიანტის სამუშაოს მოცულობის განსასაზღვრად 9-17
9.7.1 შესავალი 9-17
9.7.2 ცენტრალური სახელისუფლებო უწყებები 9-17
9.8 კონსულტაციები ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებულ ვარიანტთან დაკავშირებით 9-17
9.8.1 ინფორმაციის გავრცელება 9-17
9.8.2 ცენტრალური სახელისუფლებო უწყებები 9-18
9.8.3 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები 9-18
9.8.4 განცხადებები საჯარო განხილვის შესახებ 9-19
9.8.5 გამოხმაურების მექანიზმები 9-19
9.8.6 კონსულტაციები საჯარო განხილვის პერიოდში – საჯარო შეხვედრები 9-19
9.8.7 კონსულტაციის შედეგების მონიტორინგი 9-20
9.9 ESIA-ის დამატების შემდგომი კონსულტაციები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა 9-20

ცხრილები

ცხრილი 9-1: PAC-ებთან საკონსულტაციო შეხვედრების დამსწრეთა ანალიზი 9-7
ცხრილი 9-2: ცენტრალური სახელისუფლებო უწყებების მიერ წამოჭრილი პრობლემების / ზემოქმედებებთან დაკავშირებული საკითხების შეჯამება..... 9-8
ცხრილი 9-3: PAC-ების მიერ წამოჭრილი საკითხების შეჯამება 9-9
ცხრილი 9-4: განცხადებები ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის საჯარო განხილვის შესახებ..... 9-15
ცხრილი 9-5: ESIA-ს დამატების თავდაპირველი ვარიანტის საჯარო განხილვის შეხვედრები..... 9-16
ცხრილი 9-6: საჯარო შეხვედრები..... 9-20

სურათები

სურათი 9-1: საკონსულტაციო შეხვედრა პატარა დურნუკში 9-5
სურათი 9-2: საკონსულტაციო შეხვედრა ნაოხრებში..... 9-6
სურათი 9-3: პარალელური მილსადენი – PAC-ების მიერ SCPX პროექტის მხარდაჭერა..... 9-12
სურათი 9-4: პარალელური მილსადენი – PAC-ების შეხედულება ძირითადი სარგებლის შესახებ..... 9-12
სურათი 9-5: პარალელური მილსადენი – PAC-ების ძირითადი პრობლემები..... 9-13

9 კონსულტაციის პროცესი

9.1 შესავალი

ESIA-ის პროცესისთვის ჩვეულებრივ პრაქტიკას წარმოადგენს ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება, რასაც თან ახლავს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან. დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებელია წარმოადგენდნენ ცალკეულ პირები, ჯგუფები ან ორგანიზაციები, რომელთა ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს შემოთავაზებული პროექტი, და ვინც შეძლებს გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე პროექტის მდებარეობის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის შესახებ, მის დამტკიცებამდე და დამტკიცების პროცესში. საჯარო განხილვა და კონსულტაციები აუცილებელია ESIA-ის მთელი პროცესის განმავლობაში და ხშირად, პროექტის დამტკიცების შემდგომ, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზების მსვლელობისას.

ამ თავში აღწერილია მილსადენის შემოთავაზებული დამატებითი სექციებისთვის მომზადებული ESIA ანგარიშის დამატების გასაცნობად ჩატარებული კონსულტაციის პროცესი დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული კონსულტაციები განხორციელდა საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმის (PCDP) კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც მომზადდა ESIA-ს პროცესის დასაწყისში (დანართი C).

9.2 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პროექტის წინა და მიმდინარე ეტაპებზე

კონსულტაციები SCPX ESIA-თვის ჩატარდა 2011 და 2012 წლებში. ამ კონსულტაციების შედეგები მოყვანილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მე-9 თავში.

2013 წლის ნოემბერში საინჟინრო პროექტის შემოთავაზებული განახლებების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ გავრცელდა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის და PAC-ებში (იხ. ქვეთავი 9.4). ამ კონსულტაციების მიზანი იყო საინჟინრო პროექტის განახლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე დაინტერესებული მხარეების შეხედულებების გაგება, რათა მათ თავისი წვლილი შეეტანათ ESIA-ს დამატების სამუშაოს მოცულობის განსაზღვრაში. ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის დასრულების შემდეგ, დოკუმენტის ოფიციალური საჯარო განხილვა და კონსულტაციები გაიმართა 2014 წლისსს აპრილში.

მას შემდეგ, მარშრუტის შემდგომი განხილვის შედეგად, შემოთავაზებული მილსადენის მარშრუტი მცირედ შეიცვალა სოფელი ხაიშის ჩრდილოეთით (იხ. მე-5 თავი, სურათი 5-4). მარშრუტის შეცვლის გამო, მომზადდა ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტი; ამ დოკუმენტის ფორმალური საჯარო განხილვა გაიმართა დასახლებებში, რომლებიც მოექცნენ შეცვლილი მარშრუტის ზეგავლენის ქვეშ. ასევე გაიმართა კონსულტაციები ხაიშისა და ქოთიშის წარმომადგენლებთან.

9.3 დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრა

SCPX PCDP-ის საბოლოო ანგარიშის შესაბამისად, განისაზღვრა ქვემომოყვანილი დაინტერესებული მხარეები და მათ მიეცათ შესაძლებლობა, ჩართულიყვნენ SCPX ESIA-ის კონსულტაციების პროცესში:

- ცენტრალური და ადგილობრივი სახელისუფლებო უწყებები
- პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები, არსებითად დასახლებები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ მდებარეობენ მილსადენის დამატებითი სექციებისა და ტექნიკური მომსახურების სადგურიდან 2 კმ რადიუსში
- საერთაშორისო და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები
- სამეცნიერო საზოგადოება
- მედია (ბეჭდვითი, რადიო და ინტერნეტი)
- დიპლომატიური მისიები და საერთაშორისო ორგანიზაციები
- SCPX პროექტის პარტნიორები
- BP-ს პერსონალი.

კონსულტაციები ზემოთ ჩამოთვლილ დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარდა SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში; აქედან გამომდინარე, ESIA-ს დამატების მომზადების ფარგლებში რომელიმე მათგანთთან კონსულტაციები საჭირო აღარაა. SCPX საინჟინრო პროექტის განახლებულ ვერსიასთან დაკავშირებული შედარებით უმნიშვნელო ცვლილებებიდან გამომდინარე, დაინტერესებულ მხარეთა უმრავლესობას არ გააჩნია საკმარისი ცოდნა იმ ტერიტორიების შესახებ, სადაც გადის მილსადენის შემოთავაზებული დამატებითი სექციები, რათა მათ შეძლონ მნიშვნელოვნად შეცვალონ პროექტთან დაკავშირებით ადრე გამოთქმული შეხედულებები და შენიშვნები.

აუცილებელი კონსულტაციები ცენტრალური ხელისუფლების საკვანძო უწყებებთან ჩატარდა პროექტის წინა ეტაპებზე. იგულისხმებოდა, რომ მილსადენის შემოთავაზებული დამატებითი სექციებისათვის განისაზღვრებოდა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი სხვა, დამატებითი დასახლებები/დაინტერესებული მხარეები. იგულისხმებოდა აგრეთვე, რომ პროექტის წინა ეტაპებზე დადგენილი პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები კვლავაც განხილული იქნებოდნენ როგორც პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფნი, თუმცა, მათ მიერ ადრე გამოთქმული შეხედულებები და შენიშვნები შესაძლებელია აღარ ყოფილიყო მართებული და საჭირო იქნებოდა მათთვის განმეორებითი კონსულტაციების შესაძლებლობის უზრუნველყოფა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები განისაზღვრა იგივე კრიტერიუმებით, რომლებიც გამოყენებული იყო SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისათვის. გადამოწმების შემდეგ, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ახალ და ადრე დადგენილ დასახლებებში, ჩატარდა კონსულტაციები იგივე მიდგომით, რაც გამოყენებული იყო SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისთვის.

9.3.1 ცენტრალური სახელისუფლებო უწყებები

ქვემოთ ჩამოთვლილია ცენტრალური ხელისუფლების საკვანძო უწყებები, რომლებთანაც ჩატარდა კონსულტაციები. უწყებები დაყოფილია ორ ჯგუფად; პირველ ჯგუფში ის უწყებებია, რომლებიც ოფიციალურად მონაწილეობენ ESIA-ის დამატების დამტკიცების პროცესში, ხოლო მეორე ჯგუფში მოყვანილია ის უწყებები, რომლებსაც აქვთ აღიარებული ინტერესი საინჟინრო პროექტში შეტანილი ცვლილებების მიმართ.

1. **საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, რომლებიც ოფიციალურად მონაწილეობენ ESIA-ის დამატების დამტკიცების პროცესში:**

- *საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (GOGC) - მთავრობის წარმომადგენელი საქართველოში კასპიის ნავთობის / გაზის ტრანსპორტირების პროექტებში. GOGC ოფიციალურად მონაწილეობს ESIA-ის დამატების დამტკიცების პროცესში HGA-ს მიხედვით*
- *საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო - სამინისტრო განიხილავს ESIA-ის დამატების პროექტს („ეკოლოგიური ექსპერტიზა“)*

2. **საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ აღიარებული ინტერესი საინჟინრო პროექტში შეტანილი ცვლილებებისადმი:**

- *ეკონომიკური განვითარების სამინისტრო*
- *ენერგეტიკის სამინისტრო*
- *კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო*

9.3.2 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

ხუთი, სხვადასხვა ზომის დასახლება განისაზღვრა როგორც პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი; აქედან ოთხი (ხაიში, ქოთიში, არალი და ნაოხრები) დადგინდა SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში, ხოლო მეხუთე, პატარა დურნუკი - პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ახალი დასახლებაა. SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის ფარგლებში ოთხ PAC-თან კონსულტაციები ჩატარდა ჯგუფური შეხვედრების ფორმატში, ყოველ შეხვედრაში რამდენიმე PAC-ის მონაწილეობით. ESIA-ის დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის კონსულტაციების პროცესის ფარგლებში საკონსულტაციო შეხვედრა მოეწყო თითოეული PAC-თვის, ქოთიშის გარდა.

9.4 კონსულტაციები ESIA-ის დამატების თავდაპირველი ვარიანტის სამუშაოთა მოცულობის შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად, ნოემბერი 2013

9.4.1 შესავალი

აღნიშნულ კონსულტაციებში ჩართულნი იყვნენ შემდეგი მხარეები:

- ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები
- PAC-ები (ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ჩათვლით).

9.4.2 ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები

ცენტრალური ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლებს მიეკუთვნებიან უწყებები, რომლებიც ოფიციალურად მონაწილეობენ „დამტკიცების“ პროცესში და რომელთაც აქვთ ლეგიტიმური ინტერესი საინჟინრო პროექტში შეტანილი ცვლილებებისა და მათთან დაკავშირებული შესაძლო ზემოქმედებების მიმართ. SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, კონსულტაციების ხელშესაწყობად გამოყენებული იქნა „პირისპირ“ შეხვედრები და წერილობითი კორესპონდენციები (წერილები), რაც განხორციელდა 2013 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში.

9.4.3 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

PAC-ებთან კონსულტაციების ჩატარების სტრატეგია

კონსულტაციების ჩატარების სტრატეგია იგივე იყო, რაც გამოყენებული იქნა SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში, გარდა გადაწყვეტილებისა, რომ საკონსულტაციო შეხვედრა ჩატარებულიყო ყოველ PAC-ში. აქედან გამომდინარე, წინამდებარე დოკუმენტში მეორდება მხოლოდ საკვანძო ელემენტები.

გამოყენებული იყო ორი მიდგომა:

- საკონსულტაციო შეხვედრები PAC-ის მთავარ წარმომადგენლებთან (PAC-ის არჩეული და / ან მთავრობის მიერ დანიშნული ლიდერების ჩათვლით)
- ინტერვიუები მილსადენის აღმოსავლეთი სექციის გასწვრივ მდებარე PAC-ების მოსახლეობის რეპრეზენტატიულ ნაკრებთან, შინამეურნეობათა გამოკვლევების ჩატარებით 15 ოჯახში, საინჟინრო პროექტის რელევანტურ ცვლილებებთან დაკავშირებული აღქმების, შეხედულებებისა და პრობლემების დასაფიქსირებლად. ჩატარებული საკონსულტაციო პროცესი გამოყენებული იქნა მილსადენის ამ სექციის გასწვრივ მდებარე დამატებითი PAC-ების მაცხოვრებლების გამოსაკითხად საპროექტო ტერიტორიაზე სოციო-ეკონომიკური გამოკვლევების მონაცემების შევსების მიზნით; კონსულტაციების დროს დასმული შეკითხვები ამ გამოკვლევების ნაწილია. მილსადენის დამატებით დასავლეთ სექციასთან დაკავშირებით დამატებითი კვლევები საჭირო არაა; საკონსულტაციო შეხვედრები გამოყენებული იქნა ამ სექციის შესახებ შეხედულებებისა და მოსაზრებების გამოსაკვლევად.

PAC-ების წარმომადგენლები

თითოეული PAC წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ხელისუფლების თანამდებობის პირით, როგორც წესი, რწმუნებულით (იმ შემთხვევაში, თუ რწმუნებულს არ შეეძლო დასწრება, მის მიერ დასახელებული პირით) და PAC-ის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებით. PAC-ების ლიდერებს რეკომენდაცია გაეწიათ საკონსულტაციო შეხვედრებზე დასასწრებად მოეწვიათ PAC-ების შემდეგი წარმომადგენლები:

- სკოლის დირექტორი ან მასწავლებელი
- სამედიცინო კლინიკის / საავადმყოფოს ექიმი ან ექთანი
- ფერმერი, მეფუტკრე, მაღაზიის მფლობელი, დურგალი (ან სხვა მაცხოვრებელი, რომლის საქმიანობა მოცემულ დასახლებაში მნიშვნელოვან საარსებო წყაროდ ითვლება)
- 17 – 22 წლის ასაკის ახალგაზრდა (მაგ., სკოლის მოსწავლე / კოლეჯის სტუდენტი)
- იძულებით გადაადგილებული პირი / ლტოლვილი ან რეგისტრირებული უნარშეზღუდული პირი ან ქრონიკული ავადმყოფი
- სათემო ორგანიზაციების ან ადგილობრივი ასოციაციების ასაკოვანი ან დიდი ხნის წევრები.

ინფორმაციის საჯაროდ გავრცელება

მომზადდა ქართულენოვანი ბროშურა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, სადაც მოცემული იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია (ტექსტი და რუკები) SCPX პროექტის შესახებ, საინჟინრო პროექტის ცვლილებებისა და ESIA-ის დამატების მომზადების პროცესის ჩათვლით. ბროშურაში აგრეთვე მითითებული იყო BP-ის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, რათა BP-თვის საინჟინრო პროექტის

ცვლილებებთან დაკავშირებით შენიშვნების მიწოდება შესაძლებელი ყოფილიყო ნებისმიერ დროს და არამარტო ოფიციალურ საკონსულტაციო ღონისძიებებზე. ბროშურების გავრცელება განხორციელდა ადგილობრივ სახელისუფლებო უწყებებთან გამართული მოსამზადებელი შეხვედრების საშუალებით. მოსამზადებელ შეხვედრებზე PAC-ების ოფიციალურ პირებს ეთხოვათ დაეტოვებინათ ბროშურის ეგზემპლარები საჯარო ადგილებში, სადაც ისინი ადვილად ხელმისაწვდომი იქნებოდა PAC-ების მაცხოვრებლებისათვის.

მოსამზადებელი შეხვედრები

ჩატარდა ორი მოსამზადებელი შეხვედრა ხაიშის,პატარა დურნუკის, არალისა და ნაოხრების ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან (2013 წლის 30 ოქტომბერს, 1 ნოემბერსა და 4 ნოემბერს). შეხვედრების ფორმატი და მიზანი იგივე იყო, რაც აღწერილია SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის თავ 9.5.3-ში. PAC-ების რწმუნებულებისთვის მიწოდებული იქნა განმარტებები საკონსულტაციო შეხვედრებზე დასასწრებად მოსაწვევი პირების შერჩევის პრიორიტეტები. მათ აგრეთვე ეცნობათ, რომ გარდა დასასწრებად შერჩეული მაცხოვრებლებისა, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ პირს შეეძლო შეხვედრაზე მოსვლა.

საკონსულტაციო შეხვედრები PAC-ებთან

საკონსულტაციო შეხვედრები ჩატარდა 2013 წლის 6 და 8 ნოემბერს შორის, სამუშაო დღეების სხვადასხვა საათში. შეხვედრების ფორმატი (დღის წესრიგი, შეხვედრის ფაცილიტაციის / ხელშეწყობის პროცესი და ოქმის ჩაწერა) იგივე იყო, რაც გამოყენებული იქნა SCPX ESIA საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში. ქვემოთ ნაჩვენებია საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებიც ჩატარდა პატარა დურნუკსა და ნაოხრებში (იხ. სურათი 9-1 და სურათი 9-2).

სურათი 9-1: საკონსულტაციო შეხვედრა პატარა დურნუკში

სურათი 9-2: საკონსულტაციო შეხვედრა ნაოხრებში

ქვემოთ მოცემულია საკონსულტაციო შეხვედრების მონაწილეთა ანალიზი (იხ. ცხრილი 9-1). საკვანძო საკითხები შემდეგია:

- შეხვედრებს არ დაესწრო ერთი PAC-ის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი
- მთლიანობაში, ყველა შეხვედრას დაესწრო PAC-ების 44 წარმომადგენელი (ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების გარდა). საშუალო დასწრება შეადგენდა 13 ადამიანს (სქესის მიხედვით კი - 10 მამაკაცი და 3 ქალი; ერთ შეხვედრას არცერთი ქალი არ ესწრებოდა, ხოლო ორ შეხვედრაზე ქალებისა და მამაკაცების რაოდენობა ტოლი იყო). დამსწრეთა ყველაზე დაბალი რაოდენობა იყო 9 ადამიანი, ხოლო ყველაზე მაღალი - 16.
- შეხვედრების მონაწილეთა დაახლოებით 26% ქალები იყვნენ (ოდნავ ნაკლებია, ვიდრე 28% - SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშისათვის ჩატარებულ საკონსულტაციო შეხვედრებზე დამსწრე ქალების რაოდენობა)
- დამსწრეთა დაახლოებით
    - 27% კლასიფიცირდა როგორც "უმუშევარი"
    - 16% მუშაობდა საჯარო ან კერძო სექტორებში
    - 14% მუშაობდა ადგილობრივი ხელისუფლების უწყებებში
    - 29% კლასიფიცირდა როგორც "პენსიონერი"
    - 4% კლასიფიცირდა როგორც "დიასახლისი", "უნარშეზღუდული" და "არასამთავრობო ორგანიზაციის წევრი".

ცხრილი 9-1: PAC-ებთან საკონსულტაციო შეხვედრების დამსწრეთა ანალიზი

PAC-ები/შეხვედრა (PAC-ები=4, ნოემბერი, 2013 წ.)	დამსწრეთა საერთო რაოდენობა	გამგებლების/ რწმუნებულების/ სპეციალისტების[1] საერთო რაოდენობა	მამაკაცი	ქალი
პატარა დურნუკი	9	2	5	4
ხაიში	16	2	8	8
არალი	14	0	14	0
ნაოხრები	12	3	11	1
სულ	**51**	**7**	**38**	**13**
დამსწრეთა საშუალო რაოდენობა (ადამიანი/მამაკაცი /ქალი)	13	-	10 (დამრგვა-ლებულია მეტობით)	3 (დამრგვა-ლებულია ნაკლებო-ბით)
დამსწრეთა უმცირესი რაოდენობა ნებისმიერ ერთ შეხვედრაზე	9	0	5	0
დამსწრეთა უდიდესი რაოდენობა ნებისმიერ ერთ შეხვედრაზე	16	3	14	8

PAC-ების შინამეურნეობების გამოკვლევა

შინამეურნეობათა გამოკვლევა ჩატარდა მხოლოდ პატარა დურნუკსა და ხაიშში, რადგან, არალსა და ნაოხრებში შინამეურნეობათა გამოკვლევა ადრე ჩატარდა SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი 8.2.2). შინამეურნეობათა კვლევა ჩატარდა ტიპური და სტანდარტიზებული ანკეტების საფუძველზე. მთლიანობაში, 2 PAC-ში გამოიკითხა 15 რესპონდენტი. შინამეურნეობათა გამოკვლევა საშუალებას იძლეოდა გამოგვეკითხა მაცხოვრებლები, იცოდნენ თუ არა მილსადენის შემოთავაზებული დამატებითი აღმოსავლეთი სექციის შესახებ (56.6-62.3-ე კმ ნიშნულები) და დაგვეფიქსირებინა მათი მოსაზრებები და შეშფოთება მოსალოდნელ ზემოქმედებებთან დაკავშირებით. ინტერვიურები ბროშურებს ურიგებდნენ იმ რესპონდენტებს, რომლებსაც ისინი არ უნახავთ/არ წაუკითხავთ ინტერვიუმდე.

[1] "სპეციალისტი" მუშაობს რწმუნებულთან და შეიძლება განიხილებოდეს როგორც რწმუნებულის ადმინისტრაციის წევრი. ამ სვეტში აგრეთვე შეყვანილია საკრებულოების წარმომადგენლები, რომელთა ადმინისტრაციულ საზღვრებშიც განლაგებულია PAC-ები.

9.5 2013 წლის ნოემბერში ჩატარებული კონსულტაციებიის შედეგები

9.5.1 ცენტრალური სახელისუფლებო უწყებები

ცენტრალური სახელისუფლებო უწყებების მიერ წამოჭრილი პრობლემები / ზემოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები შეჯამებულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 9-2).

ცხრილი 9-2: ცენტრალური სახელისუფლებო უწყებების მიერ წამოჭრილი პრობლემების / ზემოქმედებებთან დაკავშირებული საკითხების შეჯამება

დაინტერესებული მხარეები	პრობლემები / ზემოქმედებებთან დაკავშირებული საკითხები
MENR	კვლევის ჩატარება საპროექტო ტერიტორიებზე საშიში ნარჩენების არსებობის შესამოწმებლად ESIA-ს დამატებაში მკაფიოდ უნდა დასაბუთდეს მილსადენის დიამეტრის შეცვლა და ორ უბანზე მილსადენის მონაკვეთების სიგრძის გაზრდა. ESIA-ს დამატებაში უნდა განხილული იყოს პროექტთან დაკავშირებული ყველა სენსიტური სფერო ჰიდროგეოლოგიური და ეკოლოგიური საკითხების ჩათვლით ESIA-ს დამატების საჯარო განხილვის პერიოდი იგივე უნდა იყოს, რაც ESIA ანგარიშისა, ე.ი., 60 დღე

9.5.2 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასახლებები

PAC-ებთან საკონსულტაციო შეხვედრების სერიებისა და შინამეურნეობების კვლევის შედეგები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი.

საკონსულტაციო შეხვედრები PAC-ებთან

PAC-ებთან საკონსულტაციო შეხვედრების ოქმების შესწავლის შემდგომ, მომზადდა სინთეზური დოკუმენტი დასმული საკითხების / პრობლემების შესახებ შესაძლო ზემოქმედებებთან (და მათთან დაკავშირებულ საკითხებთან) მიმართებაში. სხვადასხვა შეხვედრაზე წამოჭრილი მსგავსი საკითხები / პრობლემები იდენტურია, თუმცა განსხვავებული გზებით იქნა გამოთქმული. სინთეზი საშუალებას იძლევა დაფიქსირდეს თითოეული მათგანი გამეორებების გარეშე. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა იმას, რომ არ მომხდარიყო ზემოქმედებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის ან პრობლემის გამოტოვება. ქვემოთ მოცემულია PAC-ების მიერ წამოჭრილი ზემოქმედებებთან დაკავშირებული საკითხების / პრობლემების სინთეზი და PAC-ების რაოდენობა, რომლებმაც წამოჭრეს ეს საკითხები (იხ. ცხრილი 9-3).

დაყენებული საკითხების მიხედვით შეიძლება განვასხვაოთ სოფლების ორი ნაკრები (არალი / ნაოხრები და პატარა დურნუკი / ხაიში). არალსა და ნაოხრებში მნიშვნელოვანი დრო დაეთმო 'მემკვიდრეობის' საკითხებს ორ საკვანძო თემაზე (მიწის შეძენა /

კომპენსაცია მიწის ნაკვეთის სტატუსთან დაკავშირებული დავების [არამარტო BP-თან] გადასაწყვეტად საჭირო დროის პერიოდის ჩათვლით და დასაქმებასთან დაკავშირებული მოლოდინის დაუკმაყოფილებლობა), რომლებიც უკავშირდება წარსულში აშენებულ მილსადენებსა და BP-ის საქმიანობებს. ამ ორი PAC-თვის მილსადენის შემოთავაზებულ დამატებით სექციებთან დაკავშირებული საკითხები წარსული გამოცდილების 'პრიზმიდან' განიხილება. მომავალი საკითხები ისევ უკავშირდებოდა მიწის შეძენას / კომპენსაციას (მათ შორის სირთულეებს, რომლებიც შესაძლოა გამოიწვიონ მიწის მესაკუთრეებმა, რომლებსაც არ გააჩნიათ მიწაზე საკუთრების რეგისტრაციის დოკუმენტები) და ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის სამუშაო ადგილების გამოყოფას. დაახლოებით იგივე ყურადღება დაეთმო დასახლებების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების აუცილებლობას.

პატარა დურნუკსა და და ხაიშში ნაკლები შეშფოთება გამოითქვა 'მეკვიდრეობის' საკითხებთან მიმართებაში და მეტი ყურადღება დაეთმო მიმდინარე / მომავალ საკითხებს. მაგ., ხაიშში ჩატარებულ შეხვედრაზე წამოიჭრა სახლების გაზმომარაგების პრობლემა. მიმდინარე / მომავალი საკითხები მსგავსი იყო არალსა და ნაოხრებში წამოჭრილი საკითხებისა, თუმცა, ყურადღება გამახვილდა დასახლებების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების მხარდაჭერაზე. ორივე ჯგუფის PAC-ების საერთო ელემენტია მილსადენის ზუსტი ადგილმდებარეობისა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთების შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების სურვილი.

ზოგადად, წამოჭრილი საკითხები ძალიან მსგავსი იყო SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის მომზადების პროცესში ჩატარებულ საკონსულტაციო შეხვედრებზე დაფიქსირებული საკითხებისა.

ცხრილი 9-3: PAC-ების მიერ წამოჭრილი საკითხების შეჯამება

ზემოქმედებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები	შენიშვნები ზემოქმედებებზე / პრობლემებზე	საკითხის წამოჭრის ადგილი
საარსებო წყაროები (იხ. აგრეთვე **"მიწის შეძენა და კომპენსაცია"** ქვემოთ)	რა სარგებელს მოიტანს მილსადენი?	პატარა დურნუკი
ინფრასტრუქტურა *კომუნალური საშუალებების გაუმჯობესება (მაგ., გაზმომარაგების (მილსადენი) ქსელი) და/ან მომარაგება*	გამოითქვა წუხილი იმის შესახებ, რომ მხოლოდ დიდი დურნუკი იქნა უზრუნველყოფილი სარწყავი სისტემით, ხოლო პატარა დურნუკში ეს პრობლემა არ მოგვარებულა.	პატარა დურნუკი
	იგეგმება წყალსადენის პროექტის განხორციელება ხაიშში, რაც გათვალისწინებული უნდა იქნას გაზსადენის გაყვანის დაგეგმვისას.	ხაიში
მუშახელი და სამუშაო პირობები	დაისვა შეკითხვა ადგილობრივი მაცხოვრებლების დაქირავების შესაძლებლობისა და ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის გზების შესახებ.	პატარა დურნუკი, ხაიში

ზემოქმედებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები	შენიშვნები ზემოქმედებებზე / პრობლემებზე	საკითხის წამოჭრის ადგილი
მუშახელის შერჩევა და დაქირავების პრიორიტეტების განსაზღვრა (მაგ., უპირატესობის მინიჭება ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის)	დაისვა შეკითხვა დაქირავების პროცესში სოფლების თანასწორობის შესახებ. აგრეთვე გაკეთდა განცხადებები, რომ წარსულში მხოლოდ 10 ადამიანი იქნა დაქირავებული არალიდან და 10-15 ადამიანი ნაოხრებიდან (იგულისხმებოდა, რომ მეტი ადამიანის დაქირავება იყო შესაძლებელი).	არალი, ნაოხრები
სოციალური დახმარება *სოციალურ დახმარების ტიპები* *სოციალური ინფრასტრუქტურის (მაგ., სკოლები) მხარდაჭერა / შეკეთება*	გამოითქვა უკმაყოფილება BP-ის „ადგილობრივი თემების განვითარების ინიციატივის“ (CDI) მიერ დაფინანსებული პროექტების სიმცირის გამო – თუმცა დაინტერესებულ მხარეებს სურვილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ სოფლების პროექტების კონკურსში CDI-ის დაფინანსების მოსაპოვებლად.	არალი
	სოფლებს უნდა მიეცეთ გრანტები და არა სესხები.	პატარა დურნუკი
	BP-ის მიმართეს სოფელში გაზის გაყვანის თხოვნით.	პატარა დურნუკი
	დაისვა შეკითხვები ხაიშში სოციალური პროექტის განხორციელების შესახებ - ნახსენები იქნა წყალმომარაგების პროექტი და გაზმომარაგების გაფართოება.	ხაიში
მიწის შეძენა და კომპენსაცია (იხ. აგრეთვე “**ინფორმაციის გავრცელება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა**“ ქვემოთ) *კომპენსაციის საკითხები ინდივიდუალური მიწის მესაკუთრეების / მოსარგებლეების დონეზე* *კომპენსაციის საკითხები PAC-ების დონეზე საძოვრების გამოყენებისა და ასეთ მიწის ნაკვეთებზე მიწათსარგებლობისა და მათი ხელმისაწვდომობის შესაძლო შეზღუდვის შესახებ*	დაისვა შეკითხვები მიწის ნაკვეთების საკომპენსაციო თანხის, მისი გაანგარიშებისა და გადახდის წესისა და ვადის შესახებ.	პატარა დურნუკი, არალი, ნაოხრები
	დაისვა შეკითხვა, თუ როგორ შეიძლება ადგილობრივმა მოსახლეობამ სარგებელი ნახოს სახელმწიფო მიწის მილსადენისათვის გამოყენებიდან.	პატარა დურნუკი
	დაისვა შეკითხვა მილსადენის გასხვისების დერეფნისათვის მიწის შეძენის ნაცვლად იჯარით აღების შესახებ.	არალი
	დაისვა შეკითხვები იმის შესახებ, თუ როგორ მიიღებენ კომპენსაციას ის მიწათმფლობელები, რომელთა ნაკვეთები არაა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში; გარდა ამისა, ზოგიერთ მესაკუთრეს საშუალება არა აქვს, რომ დაირეგისტრიროს კუთვნილი ნაკვეთი.	პატარა დურნუკი, ნაოხრები, ხაიში
	დაისვა შეკითხვები საძოვრებად და სათიბებად გამოყენებული მიწის ნაკვეთების შეძენისა და კომპენსაციის შესახებ.	ხაიში
	როგორ მოხდება კომპენსაციის გადახდა, თუ დაზიანდება უფრო დიდი მიწის ფართობი, ვიდრე BP-ის აქვს შეძენილი?	არალი

ზემოქმედებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები	შენიშვნები ზემოქმედებებზე / პრობლემებზე	საკითხის წამოჭრის ადგილი
წარსულ გამოცდილებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც ეხება წარსულში გადახდილ კომპენსაციებსა და შესაძლო მომავალი კომპენსაციების შესახებ მოლაპარაკებებისადმი დამოკიდებულებას	წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, გამოითქვა უკმაყოფილება მიწის შეძენასთან, კომპენსაციების გადახდასთან, კომპენსაციის მიღებისა და საკამათო საკითხების გადაწყვეტისათვის საჭირო დროსთან დაკავშირებით.	არალი, ნაოხრები, პატარა დურნუკი
ინფორმაციის გავრცელება და დაინტერესებული მხარეების ინფორმირება *PAC-ებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია მილსადენის მარშრუტისა და მუშათა განაკების ადგილმდებარეობის შესახებ*	დაისვა შეკითხვები მილსადენის ზუსტი მდებარეობისა და მისი მშენებლობის მეთოდების შესახებ.	პატარა დურნუკი, ხაიში, არალი
	დაისვა შეკითხვა მშენებლობის დაწყების თარიღის შესახებ.	ნაოხრები

PAC-ების შინამეურნეობათა კვლევა

პატარა დურნუკისა და ხაიშის შინამეურნეობათა კვლევის შედეგები ინტეგრირებული იქნა SCPX ESIA-ისა და პარალელური მილსადენის სხვა PAC-ების - ახალი სამგორი, გამარჯვება 1, რუსთავი, აღთაქლა, ყარათაქლა, კრწანისი, მარნეული და ჯანდარი 2 - შინამეურნეობათა კვლევების შედეგებთან. აღმოჩნდა, რომ პატარა დურნუკისა და ხაიშის კვლევებმა ვერ შეცვალა SCPX ESIA-თვის ადრე მიღებული შედეგები. აქედან გამომდინარე, ისინი კვლავაც მოყვანილია წინამდებარე დოკუმენტში, რადგანაც ეს შედეგები ასახავს პატარა დურნუკისა და ხაიშის მაცხოვრებელთა შეხედულებებს. აგრეთვე, მითითებულია SCPX მილსადენი (კმ ნიშნულები 0 –62.3), რადგანაც მოყვანილი შეხედულებები ეხება პარალელურ მილსადენს, დამატებითი აღმოსავლეთი სექციის ჩათვლით.

რესპონდენტების დიდ ნაწილს (დაახლოებით 58%) ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი დაუჭიროს თუ არა მხარი პარალელური მილსადენის მშენებლობას. დაახლოებით 37% ეთანხმება, ხოლო 5% უარს ამბობს მშენებლობის მხარდაჭერაზე. შესაძლო სარგებელთან დაკავშირებით, რესპონდენტთა ნახევარზე ნაკლები (43%) ვერ ხედავს რაიმე კონკრეტულ სარგებელს. მათ შორის, ვინც თვლის რომ პროექტი სარგებლის მომტანია, უმრავლესობა (45%) ამ სარგებელს დასაქმების შესაძლებლობაში ხედავს (იხ. სურათი 9-3 და სურათი 9-4).



სურათი 9-3: პარალელური მილსადენი – PAC-ების მიერ SCPX პროექტის მხარდაჭერა



სურათი 9-4: პარალელური მილსადენი – PAC-ების შეხედულება ძირითადი სარგებლის შესახებ

უმთავრეს პრობლემად დასახელდა უსაფრთხოება, შემდეგ კი, დაბინძურებასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები. ზოგიერთი რესპონდენტის მიერ ასევე აღინიშნა გზების დაზიანება და გადატვირთვა (იხ. სურათი 9-5).



სურათი 9-5: პარალელური მილსადენი – PAC-ების ძირითადი პრობლემები

9.6 2014 წლის აპრილში ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველ ვარიანტთან დაკავშირებული კონსულტაციები

ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის ოფიციალური საჯარო განხილვა გაიმართა 2014 წლის აპრილში.

ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებული კონსულტაციები განხორციელდა იგივე მიდგომით, რაც გამოყენებული იქნა SCPX ESIA-ის ანგარიშის პროექტის განხილვისას, თუმცა განსაკუთრებით ფოკუსირებული იქნება ცენტრალურ სახელისუფლებო უწყებებსა და PAC-ებზე (რაც ასახავს კონსულტაციების ადრინდელ რაუნდს).

ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტი (და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი) გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე. არატექნიკური რეზიუმე გამოქვეყნდა რუსულ ენაზეც.

9.6.1 ინფორმაციის გავრცელება

ინფორმაციის ეფექტური გავრცელებისა და შემდგომი კონსულტაციების ჩასატარებლად BP-მ უზრუნველყო, რომ ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ეფუძნებოდეს SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშს და მოიცავდეს ინფორმაციას საინჟინრო პროექტის ცვლილებთან დაკავშირებულ ფონური მდგომარეობისა და პოტენციური ზემოქმედებების ანალიზის შესახებ.

- იყოს ყოვლისმომცველი და ადექვატურად ასახავდეს საინჟინრო პროექტის შემოთავაზებული ცვლილებებით განპირობებულ დადებით და უარყოფით ზემოქმედებებს.
- გამოიცეს ქართულ და ინგლისურ ენებზე (ხოლო არატექნიკური რეზიუმე - რუსულადაც) და
- PAC-ებში ადვილად ხელმისაწვდომი იყოს როგორც არატექნიკური რეზიუმე, ისე უკუკავშირის მექანიზმი (BP-თვის შენიშვნების მისაწოდებლად).

დაინტერესებული მხარეები ინფორმირებული იყვნენ ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის გამოქვეყნების შესახებ; მათ აგრეთვე მიეწოდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ იქნება შესაძლებელი ამ დოკუმენტების გაცნობა და არატექნიკური რეზიუმეს ასლების მოპოვება.

მათ მიეცათ ადექვატური დრო, საქართველოს კანონმდებლობით (მაქსიმუმ, 45 დღე) და HGA-ით (მაქსიმუმ 60 დღე) განსაზღვრული ვადების დაცვით, წარდგენილი მასალების გასაცნობად და პასუხების ჩამოსაყალიბებლად.

9.6.2 ცენტრალური სახელისუფლებო უწყებები

ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის ასლები წარედგინათ შემდეგ უწყებებს:

- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (MENR)
- ენერგეტიკის სამინისტრო
- ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
- საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (GOGC).

ამის შემდეგ ორგანიზებული იქნება პირისპირ შეხვედრები ზემოაღნიშნულ უწყებებთან მათი მოსაზრებების გასაცნობად.

9.6.3 პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი დასახლებები

საჯარო განხილვის დაწყებამდე ინფორმაცია ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის განხილვის პროცესის, დამატების (და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის) და საკონსულტაციო პროცესის შესახებ გამოქვეყნდა შემდეგი საინფორმაციო საშუალებებისა და სხვა მექანიზმების მეშვეობით (ქართულ ან რუსულ ენაზე, საჭიროების მიხედვით):

- ნაციონალური და რეგიონული / ადგილობრივი გაზეთები (არსებობის შემთხვევაში), რომლებიც ვრცელდება იმ ტერიტორიებზე, სადაც გაივლის მილსადენის შემოთავაზებული დამატებითი სექციები.
- განცხადებების დაფები ზემოქმედების ქვეშ მყოფ დასახლებებში.

პრესაში და განცხადებების დაფებზე გამოქვეყნებულ შეტყობინებებში მოცემული იყო შემდეგი ინფორმაცია:

- მილსადენის შემოთავაზებული დამატებითი სექციების დასახელება, მიზნები და ადგილმდებარეობა
- მისამართი, სადაც დაინტერესებულ მხარეებს შეეძლოთ აეღოთ / გაცნობოდნენ ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველ ვარიანტს (და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს), არატექნიკურ რეზიუმესა და ადრესატი და მისამართი, ვისაც უნდა გაეგზავნოს წერილობითი შენიშვნები

- შენიშვნების წარდგენის საბოლოო ვადა
- საჯარო შეხვედრების ჩატარების დრო და ადგილი.

ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტი (და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი) ხელმისაწვდომი იყო განსაზღვრულ საკვანძო საჯარო ადგილებში, რათა დაინტერესებულ მხარეებს ჰქონოდათ შესაძლებლობა გაეცნონ მას / მათ და წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები. ასეთი საკვანძო ადგილები იყო ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო დაწესებულებები (რომლებიც შეირჩა ყველა PAC-თვის ადვილი ხელმისაწვდომობის გამო). ამრიგად, ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტი (და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი) ხელმისაწვდომი იყო შემდეგ ადგილებში:

- GOGC-ის ოფისები
- პარლამენტის ბიობლიოთეკა თბილისში
- რეგიონული ხელისუფლების ოფისები იმ ტერიტორიებზე, სადაც გაივლის მილსადენის შემოთავაზებული დამატებითი სექციები
- თეთრიწყაროს (პატარა დურნუკი და ხაიში), ახალციხისა (ნაოხრები) და ადიგენის (არალი) მუნიციპალიტეტების გამგეობები.

არატექნიკური რეზიუმეს ასლები ხელმისაწვდომი იყო თითოეული ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ოფისსა და სხვა საჯარო ადგილებში თითოეულ PAC-ში (მაგ., სკოლები და მაღაზიები).

ბოლოს, ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტი და არა-ტექნიკური რეზიუმე გამოქვეყნდება BP Caspian-ისა (ინგლისური ვერსია) და BP საქართველოს (ქართულ- და ინგლისურენოვან) ვებ-გვერდებზე.

9.6.4 განცხადებები საჯარო განხილვის შესახებ

ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის საჯარო განხილვის პერიოდი დაიწყო განცხადებებით, რომლებიც გამოქვეყნდა ნაციონალურ და რეგიონულ მედია საშუალებებში (იხ. ცხრილი 9-4). განცხადებებში მოცემული იყო ინფორმაცია საჯარო განხილვის პერიოდის ხანგრძლივობის (45 დღე), ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის (და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის) განთავსების ადგილის, საჯარო შეხვედრების თარიღებისა და შენიშვნების მიწოდების მექანიზმების შესახებ.

ცხრილი 9-4: განცხადებები ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის საჯარო განხილვის შესახებ

გაზეთის დასახელება	განცხადების ენა	დაფარვა
24 საათი	ქართული	ნაციონალური
სამხრეთის კარიბჭე	ქართული	რეგიონული
თრიალეთის ექსპრესი	ქართული	რეგიონული

დამატებით, განცხადებები განთავსდა ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველ ვარიანტსა (და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტს) და არატექნიკურ რეზიუმესთან ერთად.

9.6.5 გამოხმაურების მექნიზმები

ESIA-ის დამატების ანგარიშის პროექტზე (და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტზე) შენიშვნების მოსაწოდებლად, ყველა დაინტერესებული მხარისათვის ხელმისაწვდომი იყო შემდეგი მექანიზმები:

- შენიშვნების წარდგენის ფორმები (ქართულ და რუსულ ენებზე) დარიგდა ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტსა (და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის) და არატექნიკური რეზიუმეს ასლებთან ერთად და ხელმისაწვდომი იყო ყველა PAC-ში. შევსებული ფორმების დაბრუნება შესაძლებელი იყო BP-ის ოფისში ფოსტით გადაგზავნით ან მათი გადაცემით BP-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების საშუალებით, რომლებიც საჯარო განხილვის პერიოდში რეგულარულად ჩადიოდნენ PAC-ებში.
- საქართველოში BP-ის ოფისის ტელეფონის ნომერი მითითებული იყო ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველ ვარიანტში, არატექნიკურ რეზიუმესა და ბროშურებში.
- საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი მითითებული იყო ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველ ვარიანტში, არატექნიკურ რეზიუმესა და ბროშურებში. შენიშვნების წარდგენის ფორმის ელექტრონული ვერსიები ასევე განთავსდა BP Caspian-ის ვებ-გვერდზე ინგლისურად, ხოლო BP საქართველოს ვებ-გვერდზე - ინგლისურად და ქართულად. შევსებული ფორმების მოწოდება შესაძლებელი იყო ელექტრონული ფოსტითაც.
- ჩატარდა საჯარო შეხვედრები, რამაც საშუალება მისცა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შეხვდნენ და საკუთარი მოსაზრებები პირდაპირ მიაწოდონ ჯგუფს, რომლემაც მოამზადა ESIA-ს დამატება.

9.6.6 კონსულტაციები საჯარო განხილვის პერიოდში – საჯარო შეხვედრები

ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველ ვარიანტთან დაკავშირებით საჯარო შეხვედრები ჩატარდა თბილისში, პატარა დურნუკში, ხაიშში, არალსა და ნაოხრებში 2014 წლის მაისში (იხ. ცხრილი 9-5). საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული შეხვედრები ჩატარდა მედია საშუალებებში განცხადების გამოქვეყნებიდან არანაკლებ 50 დღის შემდეგ და არაუგვიანეს 60 დღისა. შეხვედრების დრო ისე შეირჩა, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს ჰქონდოდა დასწრების შესაძლებლობა; განცხადება შეხვედრის შესახებ გამოქვეყნდა მინიმუმ 10 დღით ადრე. თითოეული შეხვედრის ჩატარებიდან 5 დღის ვადაში BP-მ მოამზადა შეხვედრაზე წამოჭრილი ზეპირი და წერილობითი შენიშვნების რეზიუმე.

ცხრილი 9-5: ESIA-ს დამატების თავდაპირველი ვარიანტის საჯარო განხილვის შეხვედრები

შეხვედრის ადგილი	შენობა	თარიღი	დრო
თბილისი	საქართველოს ეროვნული მუზეუმი	27 მაისი, 2014	11:10
ხაიში	სოფლის რწმუნებულის ოფისი	27 მაისი, 2014	14:30
პატარა დურნუკი	დურნუკის რწმუნებულის ოფისი	27 მაისი, 2014	16:00
არალი	სოფლის რწმუნებულის ოფისი	28 მაისი, 2014	13:30
ნაოხრები	სოფლის სკოლის შეხვედრების დარბაზი	28 მაისი, 2014	15:50

ESIA-ს დამატების (და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის) საბოლოო ვარიანტის მომზადების პროცესში BP-მ გაითვალისწინა ეს შენიშვნები, და, აგრეთვე, შენიშვნები, რომლებიც მიიღო სხვა საკონსულტაციო მექანიზმების მეშვეობით. კონსულტაციის შედეგები და გაცემული პასუხები შეტანილია დანართში C2.

9.6.7 კონსულტაციის შედეგების მონიტორინგი

კონსულტაციის შედეგების მონიტორინგი განხორციელდა იმ პროცესის შესაბამისად, რომელიც აღწერილია SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 9.8.

9.7 კონსულტაციები ESIA-ს დამატების შეცვლილი ვარიანტის სამუშაოს მოცულობის განსასაზღვრად

9.7.1 შესავალი

ეს კონსულტაციები მოიცავდა:

- ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს.

9.7.2 ცენტრალური სახელისუფლებო უწყებები

ცენტრალური სახელისუფლებო ორგანოები მოიცავს ნებართვის გამცემ უწყებებს და უწყებებს, რომელთაც აქვთ ლეგიტიმური ინტერესი საინჟინრო პროექტის განახლებების და მათთან დაკავშირებული შესაძლო ზემოქმედებების მიმართ. SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის გამოცდილების გათვალისწინებით პირისპირ შეხვედრები აადვილებს კონსულტაციების პროცესს MENR-სა და GOGC-სთან (რომლებიც ჩატარდა 2014 წლის ივნისში). ამ კონსულტაციების მთავარი მიღწევა ის იყო, რომ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან მიღწეული იქნა შეთანხმება იმის შესახებ, რომ ESIA-ს დამატების შესწორებულ ვარიანტთან დაკავშირებული განახლებების მცირე მოცულობის გათვალისწინებით ESIA-ს დამატების შესწორებული ვარიანტის საჯარო განხილვა გაგრძელებულიყო 14 დღის მანძლიზე.

9.8 კონსულტაციები ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებულ ვარიანტთან დაკავშირებით

ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების და კონსულტაციების ოფიციალური პროცესი განხორციელდა იგივე მიდგომით, რაც გამოყენებული იქნა ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის თავდაპირველი ვარიანტის განხილვისას, თუმცა განსაკუთრებით ყურადღება მიექცა PAC-ებს და დაინტერესებულ მხარეებს მიეცათ შენიშვნების გაკეთების საშუალება. პროცესის დეტალები ქვემოთაა მოცემული.

9.8.1 ინფორმაციის გავრცელება

ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების პრინციპები იგივე იყო, რაც მოცემულია ქვეთავში 9.6.1. იმ განსხვავებით, რომ საჯარო განხილვის პერიოდი იყო 14 დღე და NTS, ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებებში სასაუბრო ენის გამო, მხოლოდ ქართულ ენაზე მომზადდა

9.8.2 ცენტრალური სახელისუფლებო უწყებები

ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების ასლები წარედგინა ქვეთავში 9.6.2 ჩამოთვლილ სამინისტროებს. საჯარო განხილვის გამოცხადების შემდეგ, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მიწვეული იქნა დამატებით საჯარო შეხვედრებზე, რომლებიც დაგეგმილია PAC-ებში.

9.8.3 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

საჯარო განხილვის დაწყებამდე ინფორმაცია ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტის განხილვის პროცესის, დამატების (და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის) და საკონსულტაციო პროცესის შესახებ გამოქვეყნდა შემდეგი საინფორმაციო საშუალებებისა და სხვა მექანიზმების მეშვეობით (ქართულ ან რუსულ ენაზე, საჭიროების მიხედვით):

- ნაციონალური და რეგიონული / ადგილობრივი გაზეთები (არსებობის შემთხვევაში), რომლებიც ვრცელდება იმ ტერიტორიებზე, სადაც გაივლის მილსადენის შემოთავაზებული დამატებითი სექციები.
- განცხადებების დაფები ზემოქმედების ქვეშ მყოფ ორ დასახლებაში (ხაიში და ქოთიში).

პრესაში და განცხადებების დაფებზე გამოქვეყნებულ შეტყობინებებში მოცემული იქნა შემდეგი ინფორმაცია:

- მილსადენის შემოთავაზებული დამატებითი მონაკვეთების და ხაიშის დასახლებასთან მილსადენის შეცვლილი მარშრუტის დასახელება, მიზნები და ადგილმდებარეობა
- მისამართი, სადაც დაინტერესებულ მხარეებს შეეძლეოთ აეღოთ / გაცნობოდნენ ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებულ ვარიანტს (და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტს), არატექნიკურ რეზიუმეს შესწორებულ ვარიანტს და ადრესატი და მისამართი, ვისაც უნდა გაეგზავნოს წერილობითი შენიშვნები
- შენიშვნების წარდგენის საბოლოო ვადა
- საჯარო შეხვედრების ჩატარების დრო და ადგილი.

ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტი (და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი) ხელმისაწვდომი იყო განსაზღვრულ საკვანძო საჯარო ადგილებში, რათა დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გაეცნონ მას / მათ და წარმოადგინონ საკუთარი მოსაზრებები. ამრიგად, ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტი (და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი) ხელმისაწვდომი იყო შემდეგ ადგილებში:

- თეთრიწყაროს (ხაიში და ქოთიში), მუნიციპალიტეტის გამგეობები.

არატექნიკური რეზიუმეს შესწორებული ვარიანტის ასლები ხელმისაწვდომი იყო თითოეული ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ოფისსა და სხვა საჯარო ადგილებში თითოეულ PAC-ში (მაგ., სკოლები და მაღაზიები).

ბოლოს, ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტი და არა-ტექნიკური რეზიუმე გამოქვეყნდა BP Caspian-ისა (ინგლისური ვერსია) და BP საქართველოს (ქართულ- და ინგლისურენოვან) ვებ-გვერდებზე.

9.8.4 განცხადებები საჯარო განხილვის შესახებ

ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტის საჯარო განხილვის პერიოდი დაიწყო განცხადებებით, რომლებიც გამოქვეყნდა ნაციონალურ და რეგიონულ მედია საშუალებებში. განცხადებებში მოცემული იქნება ინფორმაცია საჯარო განხილვის პერიოდის ხანგრძლივობის (14 დღე), ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტის (და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის) განთავსების ადგილის, საჯარო შეხვედრების თარიღებისა და შენიშვნების მიწოდების მექანიზმების შესახებ.

დამატებით, განცხადებები განთავსდა ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებულ ვარიანტსა (და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტს) და არატექნიკურ რეზიუმეს შესწორებულ ვარიანტთან ერთად.

9.8.5 გამოხმაურების მექანიზმები

ESIA-ის დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებულ ვარიანტზე (და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ დოკუმენტზე) შენიშვნების მოსაწოდებლად, ყველა დაინტერესებული მხარისათვის ხელმისაწვდომი იყო შემდეგი მექანიზმები:

- შენიშვნების წარდგენის ფორმები (ქართულენაზე) დარიგდა ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებული ვარიანტის (და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის) და არატექნიკური რეზიუმეს შესწორებული ვარიანტის ასლებთან ერთად და ხელმისაწვდომი იყო ორ PAC-ში (ხაიში და ქოთიში). შევსებული ფორმების დაბრუნება შესაძლებელი იყო BP-ის ოფისში ფოსტით გადაგზავნით ან მათი გადაცემით BP-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრების საშუალებით, რომლებიც საჯარო განხილვის პერიოდში რეგულარულად ჩადიოდნენ PAC-ებში.
- საქართველოში BP-ის ოფისის ტელეფონის ნომერი მითითებული იყო ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებულ ვარიანტში, არატექნიკურ რეზიუმესა და ბროშურებში.
- საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართი მითითებული იყო ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებულ ვარიანტში, არატექნიკურ რეზიუმესა და ბროშურებში. შენიშვნების წარდგენის ფორმის ელექტრონული ვერსიები ასევე განთავსდა BP Caspian-ის ვებ-გვერდზე ინგლისურად, ხოლო BP საქართველოს ვებ-გვერდზე - ინგლისურად და ქართულად. შევსებული ფორმების მოწოდება შესაძლებელი იყო ელექტრონული ფოსტითაც.

9.8.6 კონსულტაციები საჯარო განხილვის პერიოდში – საჯარო შეხვედრები

ESIA-ს დამატების ანგარიშის პროექტის შესწორებულ ვარიანტთან დაკავშირებით საჯარო შეხვედრები ჩატარდა ხაიშში და ქოთიშში. თარიღები და დრო განისაზღვრა საჯარო განხილვის დაწყებამდე და საჯარო განხილვა გაგრძელდა დოკუმენტის გავრცელებიდან 14 დღის მანძილზე (იხ. ცხრილი 9-6). შეხვედრების დრო ისე შეირჩა, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს ჰქონოდა დასწრების შესაძლებლობა; განცხადება შეხვედრის შესახებ გამოქვეყნდა მინიმუმ 14 დღით ადრე. თითოეული შეხვედრის ჩატარებიდან 5 დღის ვადაში BP-მ მოამზადა შეხვედრაზე წამოჭრილი ზეპირი და წერილობითი შენიშვნების რეზიუმე.

ცხრილი 9-6: საჯარო შეხვედრები

შეხვედრის ადგილი	შენობა	თარიღი	დრო
ქოთიში	ყოფილი საჯარო სკოლა სოფლის მიმდებარედ	29.09.2014	10.30
ხაიში	სოფლის რწმუნებულის ოფისი, შეხვედრების ოთახი	29.09.2014	13.00

ESIA-ს დამატების (და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტის) საბოლოო ვარიანტის მომზადების პროცესში BP-მ გაითვალისწინა საჯარო განხილვის დროს წამოჭრილი შენიშვნები.

კონსულტაციის შედეგები და გაცემული პასუხები შეტანილია ESIA-ს დამატების დანართში C2.

9.8.7 კონსულტაციის შედეგების მონიტორინგი

კონსულტაციის შედეგების მონიტორინგი განხორციელდა იმ პროცესის შესაბამისად, რომელიც აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 9.8.

9.9 ESIA-ის დამატების შემდგომი კონსულტაციები და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

ESIA-ს დამატების შემდეგ დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად განხორციელდება იგივე საქმიანობები, რაც აღწერილია SCPX ESIA-ის საბოლოო ანგარიშის თავ 9.9-ში.